ტვინების ბრძოლა
საქალაქო ჩემპიონატი | შემოდგომა 2024
U8 (VI, VII, VIII კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა



]

თქვენ წინაშეა **მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის** სარეკლამო პოსტერი, რომელიც **სატრანსპორტო** საშუალებების მწარმოებელ **გერმანულ კომპანიას** უკავშირდება. დაწერეთ **სამი ლათინური ასო**, რომლებიც ჩვენ პოსტერზე დავფარეთ.

პასუხი: BMW
კომენტარი: ცნობილმა გერმანულმა კომპანიამ, "ბაიერიშე მოტორენ ვერკემ", ასევე ცნობილმა, როგორც ბე-ემ-ვემ, თავდაპირველად თვითმფრინავების ძრავების გამოშვებით გაითქვა სახელი. პროპელერის ტრიალით გამოწვეულ ბუნდოვან კადრში შეგეძლოთ, შეგემჩნიათ ბე-ემ-ვეს თანამედროვე ლოგოს კონტურები.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისსა და **საფრანგეთს** სერიოზული **დაპირისპირება** ჰქონდათ ერთმანეთთან. ამიტომ, სულაც არაა გასაკვირი, რომ საფრანგეთი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც მხარს უჭერდა **იქსის დამოუკიდებლობას**. **არ** გთხოვთ იქსის დასახელებას. დაასახელეთ **ქანდაკება**, რომელიც საფრანგეთმა იქსს **აჩუქა** დაახლოებით **100 წლის** შემდეგ.

პასუხი: თავისუფლების ქანდაკება
ჩათვლა: თავისუფლება მსოფლიოს განმანათლებელი
კომენტარი: ინგლისთან დაპირისპირების გამო, საფრანგეთი მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობას. სიმბოლურია, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლ ამერიკის შეერთებულ შტატებს მხარდამჭერმა ქვეყანამ აჩუქა ქანდაკება, სახელად "თავისუფლება მსოფლიოს განმანათლებელი", უფრო ცნობილი, როგორც თავისუფლების ქანდაკება.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
"**ვედუტები**" იყო **მოგზაურებში** პოპულარული **ნახატები**, რომელთა დახმარებითაც ისინი **გვატყობინებდნენ**, რომ **იმოგზაურეს** გამორჩეულად **ლამაზ ადგილებში**. ერთი საიტი "ვედუტებს"

მოიხსენიებს, როგორც **მე-18 საუკუნის გრამს**. წინა წინადადების ერთ სიტყვაში **გამოვტოვეთ ხუთი ასო**. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: ინსტაგრამს
კომენტარი: საიტმა "ვედუტები" შეადარა თანამედროვე სოციალურ ქსელებს, სადაც მომხმარებლები ხშირად გვატყობინებენ, რომ იმყოფებოდნენ ამა თუ იმ გამორჩეულ ადგილას. სიტყვაში "გრამს" გამოტოვებული იყო ასოები "ინსტა".

4. 5-ქულიანი შეკითხვა
რომის იმპერიაში სპეციალურ **ფორმირებას**, რომელიც ჯარისკაცების **ერთად განლაგებას** და **ფარების ზემოთ** და **გარშემო აღმართვას** მოიაზრებდა, ეწოდებოდა **იქსი**. ერთ **კომედიურ** ფილმში **იქსს ხუმრობით** დაარქმევენ **ფორმულა ერთის** ლეგენდარული **მბროლელის** სახელს. **მოკლე სიტყვით** დაასახელეთ იქსით შეცვლილი **ცხოველი**.

პასუხი: კუ
კომენტარი: ფორმირებას, სადაც ჯარისკაცებს გარშემო მათ მიერ აღმართული ფარები იცავდა, ეწოდებოდა კუ, რადგან ფარები მათ კუს ბაკანივით იცავდა. ირონიულია, რომ კომედიურ ფილმში ფორმულა-1-ის მრბოლელის სახელი უწოდეს საკმაოდ ნელ ცხოველს.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთ ევროპულ ქალაქში მდებარეობს უცნაური ფორმის **დაწოლილი ქანდაკება**, რომელზეც **ბავშვებს** შეუძლიათ, **თოკები გადააბან** და ზედ **აძვრნენ**. ქანდაკების ავტორის ჩანაფიქრით, ეს ქანდაკება **თქვენთვის ცნობილი** წიგნის ერთ-ერთი **ეპიზოდის გადათამაშებაა**. დაწერეთ ამ წიგნის **მთავარი პერსონაჟის სახელი**.

პასუხი: გულივერი
კომენტარი: ქალაქის პარკში დგას გულივერის ქანდაკება, რომელზეც რამდენიმე სასრიალო და გაბმული ბაწრებია მოთავსებული. ავტორის ჩანაფიქრით, ეს გულივერის დამწყვდევის მომენტის გადათამაშებაა. "გულივერის მოგზაურობა" დაანონსებული წიგნია, რაზეც მიგანიშნებდათ სიტყვები "თქვენთვის ცნობილი წიგნი".

6. 7-ქულიანი შეკითხვა
მეშვიდე საუკუნეში ჩრდილოთ **ინდოეთში** გამეფდა მეფე ჰარშა, რომლის დროსაც სამეფოში არნახულმა **მშვიდობამ დაისადგურა**. მეფე ჰარშას შესახებ წყაროები წერენ, რომ მისი მეფობის დროს **ჯარისკაცების განლაგებას** მხოლოდ **პიანინოს კლავიშებზე** თუ შეძლებდით. წინა წინადადებაში ჩვენ **ორი სიტყვა სხვა ორი სიტყვით შევცვალეთ**. დაწერეთ ეს ორი სიტყვა **თავდაპირველი** ფორმით.

პასუხი: ჭადრაკის დაფაზე
კომენტარი: ტექსტებში ნათქვამია, რომ არნახული მშვიდობის პერიოდში ჯარისკაცების განლაგება მხოლოდ ჭადრაკის დაფაზეღა თუ იყო შესაძლებელი. სიმბოლურია, რომ ჭადრაკი სწორედ ინდოეთიდან მოდის. პიანინოს კლავიშებიც, ჭადრაკის დაფის უჯრების მსგავსად, შავ-თეთრია.

7. 5-ქულიანი შეკითხვა

ერთ ნაწარმოებში ვხვდებით ბინის ქურდების ჯგუფს, რომლებიც სახლებს მხოლოდ ზაფხულობით ძარცვავენ, რადგან ისინი ბინაში შესაპარად იყენებენ იქსს. ცნობილი პერსონაჟი ყოველი წლის დეკემბრის ბოლოს იქსს სხვა მიზნით იყენებს. დაწერეთ იქსი ერთი სიტყვით.

პასუხი: ბუხარი
ჩათვლა: საკვამური
კომენტარი: ქურდები ბინებში ბუხრის საკვამურიდან იპარებიან, რადგან ზაფხულში ბუხარს არავინ იყენებს. სანტა კლაუსი ყოველ წელს ბუხარს იყენებს სახლებში შესაპარად და საჩუქრების დასარიგებლად.

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]

ვაგრძელებთ! ერთ ნაწარმოებში, რომლის მოქმედება **დღესასწაულისას** ვითარდება, მთავარ პერსონაჟს **არ სურს ოჯახის წევრებთან** ყოფნა. უცებ მასთან გაჩნდება მისი მეგობრის, **ჯეიკობ მარლის** სული და ეცდება მის **გადარწმუნებას**. საინტერესოა, რომ პერსონაჟი, სახელად **მარლი**, გვხვდება **სხვა ფილმში**, რომელიც **ამავე დღესასწაულს** უკავშირდება. დაწერეთ ამ ფილმის სახელი **ორი სიტყვით**.

პასუხი: მარტო სახლში
კომენტარი: სიტყვა "ვაგრძელებთ" მინიშნებას წარმოადგენდა იმაზე, რომ ამ შეკითხვით გაგრძელდა საახალწლო-საშობაო თემატიკა. საშობაო თემატიკის ნაწარმოებში პერსონაჟს მისი მეგობარი მარლის სული დაარწმუნებს, რომ დრო ოჯახთან გაატაროს. პერსონაჟი მარლი ასევე გვხვდება ყველაზე ცნობილ საახალწლო ფილმში "მარტო სახლში".

9. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ წიგნში, პატარა სოფლიდან ჩასული ბიჭი ხვდება **დიდი ქალაქის სასტუმროში** და **პირველად ნახავს იქსს**. გაკვირვებული ბიჭი იქსს უწოდებს **ოთახს**, რომელშიც **სხვადასხვა ადამიანები შედიან** და **გამოდიან**. მსოფლიოს **უსწრაფეს იქსებს** ვნახავთ **ნიუ-იორკსა და დუბაიში**. დაასახელეთ იქსი **ხუთასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ლიფტი
კომენტარი: პერსონაჟი პირველად ხედავს ლიფტს და უკვირს, რადგან მასში სხვა ადამიანები შედიან და ცოტა ხანში სხვა ადამიანები გამოდიან. ბუნებრივია, რომ მრავალსართულიანი ცათამბჯენებით ცნობილ ქალაქებს მსოფლიოს უსწრაფესი ლიფტები აქვთ.

10. 5-ქულიანი შეკითხვა
ყაზახეთის ზოგ დასახლებაში შემორჩენილია **ტრადიცია**, როდესაც **ქალები** გარკვეული **მოვლენის შემდეგ** იკეთებენ **არა ერთ**, **არამედ ორ ნაწნავს**. მეორე ნაწნავი შინაარსობრივად **იგივე დატვირთვას** ატარებს, **რასაც იქსი**. იქსს ძირითადად **ოქროსგან ამზადებენ** და **ძვირფასი ქვით** რთავენ. დაასახელეთ იქსი ერთი ან ორი სიტყვით.

პასუხი: ბეჭედი

ჩათვლა: საქორწინო ბეჭედი
კომენტარი: მეორე ნაწნავი იმის მანიშნებელია, რომ ქალბატონს მეორე ნახევარი ჰყავს. დაოჯახების შემდეგ ისინი მეორე ნაწნავს იკეთებენ საქორწინო ბეჭდის ნაცვლად. სხვადასხვა კულტურაში საქორწინო ბეჭედს ოქრო-ვერცხლისგან ამზადებენ და ძვირფასი ქვით რთავენ.

11. 6-ქულიანი შეკითხვა
"გულივერის თავგადასავალში", გულივერი ამბობს, რომ **მისი ენა მის მეგობარს აქვს**, რის შემდეგაც **მოჰყავთ იქსი.** ერთ სამუშაო შეხვედრაზე, **საბჭოთა კავშირის** დელეგატების **ტექსტები** იმდენად **ემთხვეოდა ერთმანეთს**, რომ **ამერიკელმა დიპლომატმა იქსი ადრე დაითხოვა**. დაწერეთ იქსი **ერთი** სიტყვით.

პასუხი: თარჯიმანი
ჩათვლა: მთარგმნელი
კომენტარი: გულივერი გამართულად ვერ ლაპარაკობდა ლილიპუტების ენაზე, ამიტომ მას თარჯიმანი დასჭირდა და აღნიშნა, რომ მისი პირით თარჯიმანი ისაუბრებდა. ამერიკელმა დიპლომატმა, რომელმაც ბევრჯერ მოისმინა ერთი და იგივე ტექსტი, თავისი თარჯიმანი ადრე გაუშვა სახლში.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
მარველის ერთ ფილმში **მაგიურ სასწავლებელში** მოხვედრილ პერსონაჟს აძლევენ **ფურცელს**, რომელზეც მისი აზრით **შელოცვა** წერია. სინადვილეში კი ეს წარწერა **იქსის პაროლი აღმოჩნდება**. ერთი ბლოგერი აღნიშნავს, რომ **ადრე** ტურისტები პირველ რიგში **ეძებდნენ ღირშესანიშნაობებს**, **ახლა** კი პირველ რიგში **იქსს** ეძებენ. დაწერეთ იქსი **ქართულად** ან **ინგლისურად**, **დეფისის** გამოყენებით.

პასუხი: Wi-fi [ვაი-ფაი]
ჩათვლა: ვაიფაი
კომენტარი: ტურისტები პირველ რიგში ვაი-ფაის ეძებენ, რათა ინტერნეტში შევიდნენ. დოქტორ სტრეინჯს მისცემენ ფურცელს, რომელზეც უცნაური სიტყვაა გამოსახული, რაც მას მაგიური შელოცვა ეგონება, სიმადვილეში კი ის ვაი-ფაის პაროლია.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

?-X
?-V
]

აღნიშნულ **სახუმარო** სურათს კითხვის ავტორი **საოფისე პროგრამების შემსწავლელი კურსის** გვერდზე გადააწყდა. სურათზე ჩვენ **ორჯერ** შევცვალეთ **ოთხი ასო კითხვის ნიშნით**. დაწერეთ **ინგლისური ანბანის** ეს ოთხი ასო.

პასუხი: ctrl
კომენტარი: კომპიუტერის კლავიატურაზე კონტროლ იქსი არის ტექსტის ამოჭრის ბრძანება კომპიუტერში, ხოლო კონტროლ ვე კი ამოჭრილი ნაწილის სხვა ადგილას ჩასმის ბრძანებაა. ხუმრობის მიხედვით, სურათის ქვედა ნაწილში მოცემული სიმწვანე ზედა ნაწილში გაჩენილი ნაპრალიდან ამოჭრეს. "კონტროლ" ღილაკს კლავიატურაზე ჰქვია "CTRL".

14. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთი ამერიკელი **ფერმერი** იყენებს **პლასტმასის ფორმებს**, რათა **ოქტომბრის** ცნობილი **დღესასწაულისთვის** საჭირო **იქსები** სხვადახვა **მონსტრის ფორმის გაიზარდოს**. ცნობილ **ზღაპარში** იქსი **სატრანსპორტო** საშუალებად გადაიქცევა. დაწერეთ იქსი ერთი სიტყვით.

პასუხი: გოგრა
კომენტარი: ამერიკელი ფერმერი ჰელოუინისთვის სხვადასხვა მონსტრის ფორმის გოგრებს ამზადებს. კონკიაში გოგრა ეტლად იქცევა.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
ბოლო, **დასამშვიდობებელი** შეკითხვა.
ერთი ფილმის **იაპონელი** გმირი **დასავლურ კულტურას** და **ტრადიციებს** არ სცნობს. მას არ მოსწონს **ამის კეთების** ჩვეულება და დაცინვით ამბობს, რომ თეთრი ადამიანები აუცილებლად **რაღაცას უნდა ჩაეჭიდონ**. დაწერეთ **ორი სიტყვა**, რომლებიც **შევცვალეთ** სიტყვებით "**ამის კეთება**".

პასუხი: ხელის ჩამორთმევა
კომენტარი: იაპონურ კულტურაში მისალმებისა და დამშვიდობების დროს ერთმანეთს მხოლოდ თავს უკრავენ, ხელის ჩამორთმევა კი მიუღებელია. ამიტომ პერსონაჟი პროტესტს უცხადებს დასავლურ კულტურაში გავრცელებულ ხელის ჩამორთმევის ჩვეულებას. ამ კითხვით ავტორი გემშვიდობებათ.